

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი:

ხელშეკრულება #

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. ბათუმი

----- 2018 წელი

ერთის მხრივ, შპს „ბათუმის წყალი“ (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თენგიზ ქოქოლადის სახით და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, NAT----- აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი –შემსყიდველს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – სამუშაო დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონლის მიწოდება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დოკუმენტაცია“ – მიმწოდებლის მიერ NAT----- აუქციონის გარეშე ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საღებავებისა და კედლის საფარების (CPV კოდი 44111400 - საღებავები და კედლის საფარები) შესყიდვა.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონლის აღწერა მითითებულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს _____ ლარს,

3.2 შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი და მთლიანი თანხა განისაზღვრება ფასების ცხრილის (დანართი 1) მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დღგ-ს (თუ მიმწოდებელი არის დღგ-ს გადამხდელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდება დღგ-ს გარეშე).

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება განხორციელდება 2018 წლის მპს „ბათუმის წყლის“ კუთვნილი სახსრებით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, საქონლის სრულად მიწოდების შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტის წარმოდგენის, გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით. არარეზიდენტ მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ევროში, აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის გამოცხადების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

5. მიღება - ჩაბარების წესი

5.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიწოდებული საქონლის შემოწმებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენენ“ მპს „ბათუმის

წყალის“ მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დავით ჟორჟაძე; შპს „ბათუმის წყალი“-ს სამუშაოთა მწარმოებელი ოთარ ძნელაძე.

6. საქონლის მიწოდების ადგილი, ვადა და ფორმა

6.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. საქონლის მიწოდების ადგილი – ქ. ბათუმი, შპს „ბათუმის წყალი“-ს მეჯინისწყლის სასაწყობე მეურნეობა. მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიწოდებული საქონლის გადმოტვირთვას და შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე დასაწყობებას.

7. მოწოდებული საქონლის ხარისხი და საგარანტიო პირობები

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი, ქარხნული შეფუთვით, უპასუხებს ხელშეკრულებითა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

- ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;
- ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
- ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს საქონლის მიწოდებას;

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) განახორციელოს საქონლის მიწოდება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;
- ბ) უზრუნველყოს ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისი საქონლის მიწოდება, ტექნიკური დავალებით დადგენილი პრინციპების დაცვით;
- გ) იმ შემთხვევაში თუ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას არმოჩენილი ხარვეზი ან

განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებენ: შპს „ბათუმის წყალი“-ს სამუშაოთა მწარმოებელი ოთარ ძნელაძე; შპს „ბათუმის წყალის“ მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი ლერი ქაჯაია.

9.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა საქონლის მიწოდების ვადების, მიწოდებული საქონლის რაოდენობის, ტექნიკური მახასიათებლებისა და ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზრაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.25%-ის ოდენობით. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს 4%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება

10.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. - ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ასევე ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, ან ნაწილობრივ ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღის ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედები პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება ელექტრონული ფოსტის საშუალებით,

წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“